# წესდება – დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება
(არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის)

**მუხლი 1**
ზოგადი დებულებები

1.1. „არეტე“ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. (შემდგომში ტექსტში „საზოგადოება“)

1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.3. საზოგადოების სახელწოდება:

ქართულად:
არეტე

ინგლისურად:
ARETE

1.4. სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

1.5. იურიდიული მისამართი ______________________________________________________
___________________________________________________________________________
____

1.6. საწარმოს ელექტრონული ფოსტის მისამართი: arete787@gmail.com

1.7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

1.8. საზოგადოების საქმიანობის მიზნები:

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (შშმ პირები) პროფესიული განათლების კუთხით დატრენინგება, გადამზადება, დასაქმების ორგანიზება.
2. სოციალურად დაუცველი პირების (სდპ პირების) პროფესიული განათლების კუთხით დატრენინგება, გადამზადება, დასაქმების ორგანიზება.

1.9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

1.10. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

## მუხლი 2
საზოგადოების დამფუძნებლები

2.1. საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

1. ___________________________________________________________________

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ)

2. ___________________________________________________________________

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ)

3. ———————————————————————————————————————————————————————————————————————

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ)

4. ———————————————————————————————————————————————————————————————————————

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ)

**მუხლი 3**

საზოგადოების მართვა

3.1. საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელთა კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც.
3.2. დამფუძნებელთა კრება გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების ყველა იმ საკითხზე, რომელიც არ შედის გამგეობის კომპეტენციაში. გადაწყვეტილება ნამდვილია, თუ საკითხი კრების მოწვევისას დღის წესრიგში იყო შეტანილი.
3.3. დამფუძნებელთა კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწვეტილება, თუ კრებას ესწრება ორი დამფუძნებელი მაინც.
3.4. დამფუძნებელთა კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.
3.5. დამფუძნებელთა კრება:

3.5.1. იღებს საზოგადოების წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში;
3.5.2. ირჩევს საზოგადოების გამგეობას და თავჯდომარეს;
3.5.3. ისმენს გამგეობის ანგარიშს;
3.5.4. ამტკიცებს გამგეობის მიერ წარმოდგენილი საზოგადოების საქმიანობის საორენტაციო წლიურ პროგრამას;
3.5.5. იღებს გადაწყვეტილაბას საზოგადოების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ;
3.5.6. წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით სხვა ორგანოთა უფლებამოსილებას არ განეკუთვნება;

**მუხლი 4**

საზოგადოების გამგეობა

4.1. საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო არის გამგეობა.
4.2. საზოგადოების გამგეობის შემადგენლობაში შედიან დამფუძნებელთა კრების მიერ არჩეული წევრები.
4.3. დამფუძნებელთა კრება გამგეობის წევრებს ირჩევს ერთი წლის ვადით.
4.4. გამგეობის სხდომა მოიწვევა საჭიროების მიხედვით, მაგრამ არა უმცირეს ერთისა წელიწადში.
4.5. გამგეობის რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს ერთ-ერთი წევრის მოთხოვნით.
4.6. გამგეობის სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრების ნახევარზე მეტი.
4.7. გამგეობის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით.
4.8. გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:

4.8.1. დამფუძნებელთა კრების მიერ დამტკიცებული სამუშაო პროგრამისა და გეგმების განხორციელება;

4.8.2. იმ პროგრამების განხორციელება, რაც გამომდინარეობს საზოგაოების მიზნებიდან;

4.8.3 სპეციალური თემატური შეხვედრების მოწვევა და ჩატარება, მომხსენებლებისა და სამუშაო ჯგუფის განსაზღვრა;

4.8.4. საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის, საზოგადოების ფინანსური ანგარიშის მომზადება და ბიუჯეტის პროექტის შედგენა;

4.8.5. გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების მიღება;

4.8.6. საზოგადოების სხვა საქმიანობების წარმართვა მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

4.9. საზოგადოების გამგეობის წევრები არიან:

______________ _______________
პირადი ნომერი – ________________
საცხოვრებელი ადგილის მისამართი: ____________________
დაბადების თარიღი: _________________

______________ _______________
პირადი ნომერი – ________________
საცხოვრებელი ადგილის მისამართი: ____________________
დაბადების თარიღი: _________________

______________ _______________
პირადი ნომერი – ________________
საცხოვრებელი ადგილის მისამართი: ____________________
დაბადების თარიღი: _________________

______________ _______________

პირადი ნომერი – _______________
საცხოვრებელი ადგილის მისამართი: ___________________
დაბადების თარიღი: ________________

**მუხლი 5**

საზოგადოების თავმჯდომარე

5.1. საზოგადოების თავჯდომარე უძღვება დამფუძნებელთა კრებას და ხელმძღვანელობს გამგეობის სხდომებს. იგი არის საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.
5.2. საზოგადოების თავჯდომარე აირჩევა დამფუძნებელთა კრების მიერ ერთი წლის ვადით.
5.3. საზოგადოების თავჯდომარე:
5.3.1. ხელმძღვანელობს საზოგადოების ყოველდღიურ მუშაობას, ამზადებს გამგეობის სხდომებს, ადგენს მიღებულ გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა რეალიზაციას.
5.3.2. იწვევს სამუშაოზე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულებს.
5.3.3. ხელს აწერს საზოგადოების სახელით დადებულ ხელშეკრულებებს, გარიგებებს, კონტრაქტებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, საბანკო დაწესებულებებში ასრულებს ყველა საბანკო ოპერაციას მათ შორის ანგარიშების გახსნა და დახურვა.
5.3.4. ხელს აწერს საზოგადოების ოფიციალურ და ფინანსურ დოკუმენტებს;
5.3.5. ახორციელებს საზოგადოების ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე.
5.3.6. ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას და განსახორციელებელ პროგრამებს;
5.4. თავჯდომარეს ენიჭება საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ერთპიროვნულად.

5.5. საზოგადოების თავჯდომარეა:

_____________ ______________
პირადი ნომერი – _______________
საცხოვრებელი ადგილის მისამართი: ___________________
დაბადების თარიღი: ________________

**მუხლი 6**
საზოგადოების საქმიანობის ვადა

6.1. საზოგადოება იქმნება და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

**მუხლი 7**
საზოგადოების საკუთრება, შემოსავლის წყარო

7.1. საზოგადოებას კანონით დადგენილი წესით შეუძლია საკუთრებაში ჰქონდეს შენობა–ნაგებობები, მოწყობილობები, ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი სახსრები და სხვა ქონება, რომელიც საჭიროა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად.
7.2. ორგანიზაციის ფულადი სახსრები იქმნება საწევრო გადასახადებით, შემოწირულობებით, ორგანიზაციის ძირითადი და მიზნობრივი პროექტებისა და პრორამების განხორციელებისათვის მიღებული გრანტებით.
7.3. მიზნების შესრულებისთვის საზოგადოებას უფლება აქვს დადოს გარიგებანი, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები.

**მუხლი 8**
საერთაშორისო კავშირები

7.1. საზოგადოებას უფლება აქვს ხელშეკრულებების საფუძველზე, იქონიოს საერთაშორისო კონტაქტები და ურთიერთობები, დადოს შესაბამისი ხელშეკრულებები.
7.2. საზოგადოება, ურთიერთსასარგებლო საწყისებზე, თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საზღვარგარეთის სხვადასხვა კომპანიებთან, საზოგადოებებთან, ფონდებთან და ფიზიკური პირებთან.

**მუხლი 9**
საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

9.1. საზოგადოების რეორგანიზაცია ხდება დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.2. საზოგადოების ლიკვიდაცია ხდება:
9.2.1. საზოგადოების დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით;

9.2.2. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით.

9.3. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ორგანიზაციის ქონება განაწილდება საზოგადოების დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.4. საზოგადოების ლიკვიდაცია დასრულებულად ითვლება მარეგისტრირებელი ორგანის მიერ მისი სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

**მუხლი 10**

დასკვნითი დებულებები

10.1. წინამდებარე წესდება (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება) ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის/წევრის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

10.2. თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

10.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

__________ ______________ /__________________________/

(ხელმოწერა)

__________ ______________ /__________________________/

(ხელმოწერა)

__________ ______________ /__________________________/

(ხელმოწერა)

__________ ______________ /__________________________/

(ხელმოწერა)